პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 124 (10821) | სამშაბათი, 28 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა

ჩვენი დიადი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ისტორიაში ნათელ ფურცლად შედის საყოველთაო-სახალხო მოძრაობა — ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ასი ცენტნერი ხორცისა და ოთხასი ცენტნერი რძის მიღებისათვის. მოწინავე კოლმეურნეობები, ებმებიან რა ამ პატრიოტულ მოძრაობაში, ავლენენ თავიანთ რეზერვებს და მალალ ვალდებულებებს იღებენ, რომ ახალ-ახალი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნან დედა-სამშობლოს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სოციალისტურ ინდუსტრიაზე დაყრდნობით კოლოსალური გამოცდილება შეიძინეს. ეს მდიდარი გამოცდილება და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობანი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დიდებულ პერსპექტივებს სახავენ.

სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა, მისი განვითარების შესანიშნავმა პერსპექტივებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის შრომითმა აქტივობამ შესაძლებლობა მისცა პარტიას ამჟამად წამოყენებინა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა— უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

„საკოლმეურნეო წყობილების ძალა, — განაცხადა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ქალაქ ლენინგრადში, — საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, სოციალისტური შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ეს ამოცანა უახლოეს წლებში და უკვე ამ ხუთწლედში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების მხრივ“.

საბჭოთა ხალხი გმირი ხალხია. მას კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა ბრწყინვალედ გადაუჭრია და ახლაც და მომავალშიც წარმატებით გადაჭრის.

პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დაყენებული ლოზუნგი — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ—მოითხოვს მთელი ხალხის დაძაბულ შრომას, ჩვენი ხელმძღვანელი კადრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, მათი შემოქმედებითი უნარის ყოველმხრივ გაშლას.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატები ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებენ 102,3 კილოგრამ ხორცს, საბჭოთა კავშირი კი — 32,3 კილოგრამს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებენ 343 კილოგრამ რძეს და 3,8 კილოგრამ კარაქს, საბჭოთა კავშირში კი — 245 კილოგრამ რძესა და 2,8 კილოგრამ კარაქს. არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოების მიხედვით არათუ დავეწიოთ, არამედ კიდეც გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე 1958 წელს.

უფრო რთულად არის საქმე ხორცის წარმოების მხრივ. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. იმისათვის, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ, საბჭოთა კავშირს დასჭირდება მისი წარმოების გადიდება 1956 წელთან შედარებით სულ მცირე 3,5-ჯერ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ინტერესითა და მოწონებით შეხვდნენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ქალაქ ლენინგრადში. ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას არ დაიშუროონ თავიანთი ძალები ხორცისა და რძის წარმოების მკვეთრად გასადიდებლად და მალალ ვალდებულებებს კისრულობენ.

წითელწყაროს რაიონის მშრომელთა მაგალითისამებრ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები ებმებიან დიდ ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მთელ მუშაობას ახლა ისე წარმართავენ, რომ დედა-სამშობლოს მიმდინარე წლიდანვე მისცენ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები. ბოლნისის რაიონის წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ, გაითვალისწინა რა რეზერვების სრულად გამოყენება, იკისრა 1957 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღოს 45 ცენტნერი ხორცი, მარნეულის რაიონის სოფელ ქესალოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ივალდებულეს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 32 ცენტნერი ხორცი. ასეთი მაგალითები ბევრია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბრძოლო ამოცანად სახავენ მატყლის წარმოების მკვეთრ გადიდებას. ეს აუცილებელია მალალხარისხოვან მალეულზე საბჭოთა ხალხის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციული ორგანოებისადმი, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია. ამ წერილში მოცემულია მეცხვარეობის ახალი მძლავრი განვითარების და მატყლის წარმოების მკვეთრად გადიდების საბრძოლო პროგრამა.

სამშობლოს წინაშე დიდ ვალში არიან საქართველოს მეცხვარეები. უკანასკნელ სამ წელიწადში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ცხვრის სულადობა 34 პროცენტით შემცირდა.

მეცხვარეობაში ჩამორჩენა აიხსნება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ მეცხვარეობისადმი უყურადღებობით, მთელი რიგი კოლმეურნეობების მიერ ცხვრის არაწესიერი კვებითა და მოვლით. ამასთან ზამთრობით ცხვრებს სისტემატურად არ კვებავენ საკმაოდ, იწყნარებენ შრომის ცუდ ორგანიზაციასა და გაუპატიოსნებას მოვლაში, რის შედეგია სულადობის დაკლებაკება და სიკვდილიანობა. მეცხვარეობისადმი ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა ახლავე გაჩაღდეს ბრძოლა ცხვრის სულადობის გადიდებისათვის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. უნდა მოხდეს ცხვრის ჯიშიანობის გაუმჯობესება, დედა-ცხვრების ბერწიანობის ლიკვიდაცია. ფართოდ უნდა დავნერგოთ დედა-ცხვრების ზამთრის დოლი და შევუქმნათ მეცხვარეობას მტკიცე საკვები ბაზა.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა მოაწყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილის ფართოდ განხილვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, მწყემსთა ბრიგადებში, მეცხვარეობის ფერმებში, შეიმუშაონ და მიიღონ პრაქტიკული ღონისძიებანი ცხვრის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ მეცხვარეობის მუშაკები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან პარტიისა და მთავრობის წერილს და ჩაებმებიან საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ყველა მშრომელის ღირსებისა და სახელის საქმეა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის და მით თავიანთი წვლილი შეიტანონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული დიდი სახელმწიფოებრივი, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის განხორციელებაში.

კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მოწვევით 1957 წლის 15 აპრილიდან 6 მაისამდე და 24 მაისიდან 26 მაისამდე ჩინეთში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი.

კ. ე. ვოროშილოვს მოგზაურობაში ახლდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი.

კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა იმოგზაურეს ჩინეთში და ნახეს ქალაქები: პეკინი, ანშანი, შენიანი, ტიანძინი, შანხაი, ხანჯოუ, კანტონი, უხანი და კუნმინი, აგრეთვე იყვნენ მთელ რიგ საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ჩინეთის სამეცნიერო დაწესებულებები და სასწავლებლები, აგრეთვე ისტორიული და კულტურული ძეგლები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩინელი ხალხი გულითადად მიეგებოდა საბჭოთა სტუმრებს. ხალხთან შეხვედრები იქცეოდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის გრანდიოზულ დემონსტრაციად, მეგობრობისა, რომელიც ჩვენს ხალხებს თავიანთ ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად მიაჩნიათ.

ამ დღეებში მთელმა მსოფლიომ კვლავ დაინახა ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ხალხების მონოლითური ერთიანობა და დარაზმულობა, აგრეთვე უმჯიდროესი და ღრმა მეგობრობა. ასეთი დარაზმულობა და მეგობრობა წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ორივე ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის საქმეს, აგრეთვე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წვლილს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის გაძლიერების საქმეში, საყოველთაო მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმის საიმედო გარანტიას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ხვდებოდნენ და მეგობრული საუბრები ჰქონდათ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან, პროვინციული და საქალაქო პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუშაკებთან, მუშებთან და გლეხებთან, დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასა და ინტელიგენციასთან.

შეხვედრები და გულითადი საუბრები იყო ამხანაგებთან მაო ძე-დუნთან, ჯუ დესთან, ლიუ შაო-ცისთან, ჯოუ ენ-ლაისთან, სუნ ცინ-ლინთან, ჩენ იუნთან, დენ სიაო-პინთან, პან ჯენთან და ჩინეთის სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან. საუბრებში შეეხნენ ორივე ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას და საერთაშორისო მდგომარეობის სხვადასხვა საკითხს. ეს შეხვედრები და საუბრები წარმოებდა გულითადობის, სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ამ საუბრების საფუძველი იყო განუხრელი მისწრაფება ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების დარაზმვისაკენ.

საბჭოთა წარმომადგენლებმა ჩინეთში ნახეს ხალხის, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ერთობა, დარწმუნდნენ, რომ ხალხის მასებში დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა აქვს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც შეძლო გამოენახა სოციალისტური მშენებლობის ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ჩინეთის კონკრეტულ სინამდვილეს.

მათ შესაძლებლობა ჰქონდათ ზოგადად გასცნობოდნენ ჩინეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების განვითარების მდგომარეობას, აგრეთვე იმ ღრმა სოციალისტურ გარდაქმნებს, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელდა სახალხო ხელისუფლების წლებში.

კ. ე. ვოროშილოვის სტუმრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 800-მილიონიანი მოსახლეობის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებაში, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეშიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა თავმჯდომარე მაო ძე-დუნი მოიწვია ესტუმროს საბჭოთა კავშირს მისთვის მოსახერხებელ დროს. თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა კმაყოფილებით მიიღო მიწვევა.

პეკინი, 1957 წლის 26 მაისი.

მაო ძე-დუნმა გამოსათხოვარი ვახშამი გამართა კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად

პეკინი, 25 მაისი. (საკდესი). დღეს საღამოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა თავის რეზიდენციაში გამოსათხოვარი ვახშამი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად.

ვახშამზე იყვნენ ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი, დენ სიაო-პინი და პან ჯენი.

კ. ე. ვოროშილოვი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან გამოემგზავრა

პეკინი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს პეკინიდან ულან-ბატორში გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები.

კ. ე. ვოროშილოვი აეროდრომზე გააცილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ, ლიუ შაო-ციმ, ჯოუ ენ-ლაიმ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა.

მაო ძე-დუნმა და კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

ვეთხოვები რა დიდი ჩინეთის ხალხებსა და მის ღირსეულ ხელმძღვანელებს, უაღრესად გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო მაო ძე-დუნ, და თქვენი სახით მთელ ჩინელ ხალხს მეგობრული მიწვევისათვის ჩინეთში, დიდი ჩინელი ხალხის ძმური გრძნობისათვის, რომელიც მან ჩემდამი და ჩემი თანამგზავრებისადმი გამოიჩინა, როცა ჩვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიყავით.

სულით და გულით გისურვებთ, ამხანაგო მაო ძე-დუნ, ჯანმრთელობას და წარმატებებს ყველა თქვენს წამოწყებაში თქვენი ხალხის სასახელოდ!

შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ ჩინელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ძმობა!

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1957 წლის 26 მაისი.
თვითმფრინავი „ილ-14“.

რიგის მშრომელთა დელეგაცია თბილისში

რიგის მშრომელთა დელეგაცია განაგრძობდა თბილისის საქალაქო მეურნეობის გაცნობას.

როგორც ცნობილია, ორი თვის წინ რესპუბლიკის დედაქალაქებს შორის შეჯიბრების ხელშეკრულება შეიცავს ვალდებულებებსაც, რომლებიც ითვალისწინებენ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების შემდგომ გაუმჯობესებას და სისუფთავისა და წესრიგის დამყარებას. ამ საქმეში შეიძლება ბევრი რამ გადმოვიღოთ რიგის მშრომელებისაგან. ლატვიის დედაქალაქი სანიმუშო სისუფთავის ქალაქია. ამაში თვალსათლივ დარწმუნდნენ თბილისის მშრომელთა დელეგაციის წევრები, რომლებიც რიგაში იყვნენ თვენახევრის წინათ. ჩვენი ქალაქის დელეგაციის ლატვიიდან დაბრუნების შემდეგ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის ინიციატივით თბილისში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება სისუფთავისა და წესრიგისათვის ქალაქში.

გაეცნენ რა თბილისის საქალაქო მეურნეობას, რიგის მშრომელთა დელეგაციის წევრები აღნიშნავენ, რომ საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიები, სადაც ახლა იყვნენ, კეთილმოწყობილია, სუფთა და გამწვანებულია. ამასთან ერთად მეგობრებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებს რიგის საზოგადოებრიობა თავის ქალაქში სისუფთავისა და წესრიგისათვის ბრძოლაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკაში უდიდესი კომბინატი საყოფაცხოვრებო მომსახურებისა რუსთაველის პროსპექტზე და გაეცნენ მისი მრავალი ხაამჭროს მუშაობას.

რიგის მშრომელთა დელეგაცია იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში. ლატვიელი ხალხის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ექსპონატები — საქართველოს ძველი კულტურის უოშვიათესი ძეგლები.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ახალი პარკი ვაკეში.

სტუმრები დაესწრნენ ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობის შეჯიბრებას „დინამოს“ (თბილისი) და „შახტიორის“ (სტალინო) გუნდებს შორის. (საქდესი).

ამას წინათ რიგის მშრომელთა დელეგაცია იყო ქ. გორში. სურათზე: დელეგაცია ათვალიერებს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

კ. ე. ვოროშილოვის წერილი გაზეთ „ჟენმინჟიბაოში“

პეკინი, 26 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ პირველ გვერდზე მოათავსა კ. ე. ვოროშილოვის შემდეგი წერილი:

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ რედაქციას.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩვენი ყოფნის დროს მრავალი წერილი და დეპეშა მოგვივიდა ჩინეთის სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებისაგან, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, დემოკრატიული მოღვაწეების, სამხედრო მოსამსახურეების, სტუდენტების, პიონერებისა და მოსწავლეებისაგან. იქ გამოთქმულია მეგობრობის ძმური გრძნობები და საუკეთესო სურვილები საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემდამი, როგორც მისი ერთ-ერთი წარმომადგენლისადმი.

რადგან შესაძლებლობა არა მაქვს პასუხი გავცე თვითეულ ამ წერილზე, ვთხოვ „ჟენმინჟიბაოს“ რედაქციას დაბეჭდოს თავისი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ჩემი და ჩემი თანმხლები ამხანაგების დიდი მადლობა ჩინეთის ორგანიზაციების, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, აგრეთვე მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც მისალმება და კეთილი სურვილები გვიძღვნეს ჩვენს ვიზიტთან დაკავშირებით. ჩემი მხრივ ყველა მათგანს ვუსურვებ საუკეთესო წარმატებებს თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომასა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში.

კ. ვოროშილოვი.

1957 წლის 25 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-ბატორში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები.

კ. ე. ვოროშილოვს აეროდრომზე შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

კ. ე. ვოროშილოვმა და ჟ. სამბუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დღეს ვიზიტი გაუკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. სამბუს.

ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ კ. ე. ვოროშილოვის თანმხლებნი შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი.

მონღოლეთის მხრივ იყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის წევრი დ. დამბა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. შირენდიბი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ჩ. სურუნჟაბი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ვიზიტის დროს გაიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა მეგობრული საუბარი კ. ე. ვოროშილოვთან.

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ონახულა სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის აკლდამა და გვირგვინით შეამკო იგი. ლენტზე არის წარწერა: „მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სახელოვან მებრძოლებს სუხე-ბატორსა და ჩოიბალსანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისაგან“.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო, ვ. ი. პისარევი. გვირგვინით შემკობას დაესწრნენ ჟ. სამბუ, ი. ცედენბალი, დ. დამბა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ დღეს ვიზიტი გაუკეთეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჟ. სამბუმ ვახშამი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

ვახშამზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო, ელჩი ვ. ი. პისარევი.

მონღოლეთის მხრივ იყვნენ დ. ბალჟინიამი, დ. დამბა, ბ. დამდინი, ჩ. სურუნჟაბი, ბ. შირენდიბი, ი. ცედენბალი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები. ვახშმის დროს, რომელმაც განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს ჟ. სამბუმ, კ. ე. ვოროშილოვმა, ი. ცედენბალმა, დ. დამბამ და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1957 წლის 25 მაისს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი ამხანაგი ანა ალექსანდროვნა პანკრატოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 28 მაისს საღამოს 6 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მთელი ძალები დავრაზმოთ მეცხოველეობის მეტი პროდუქციის მისაღებად ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე

★

ბოლნისელ კოლმეურნეთა სიტყვა

მეცხოველეობა ჩვენს კოლმეურნეობაში წამყვანი დარგია. ფერმებში ყოველწლიურად იზრდება პირუტყვის როგორც სულადობა, ისე პროდუქტიულობა. კოლმეურნეები გულნოდგმნილ გაეცნენ წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას, გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რეზერვები და იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებები: წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიაღწიონ 118 ცენტნერი რძის, 45 ცენტნერი ხორცის, 2,9 ცენტნერი მატყლის წარმოებას, ხოლო ას ჰექტარ სახნავზე მიიღონ 21 ცენტნერი ღორის ხორცი. 1960 წლისათვის წარმოებული იქნება 227 ცენტნერი რძე, 3,5 ცენტნერი მატყლი, 75 ცენტნერი ხორცი.

ამ ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებით კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს დაბაგროვონ 1.000 ტონა სილოსი, 500 ტონა თივა და 400 ტონა საკვები კულტურები. ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისათვის ნაკისრი ვალდებულებათა გასანაღდებლად ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება სოფელ რატევანის მანარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან.

ს. პოპოვი,
ბოლნისის რაიონის წითელსოფლის ცხვაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

ა. თანდარაშვილი,
კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითისამებრ

ვითვალისწინებთ რა ჩვენს შესაძლებლობებსა და რეზერვებს, ვალდებულებას ვკისრულობთ მიმდინარე წელს მივიღოთ 240 ცენტნერი ხორცი, აქედან 98 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 34 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე და 36 ცენტნერი ღორის ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე.

მიმდინარე წელს გავასუქოთ 100 ღორი, რომელთაგან თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა 80-90 კილოგრამი იქნება, და შარშანდელთან შედარებით ხუთჯერ და მეტად გავადიდოთ ღორის ხორცის საერთო წარმოება.

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებისათვის სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება. გაჩაღებულია ბრძოლა მარცვლეული კულტურების უწვი მოსავლის მოსაყვანად, რისთვისაც აგროტექნიკური ვადებში ჩატარდა საგაზაფხულო კულტურების თესვა, გადაჭარბებით შესრულდა საკვები ბალახების თესვის გეგმა.

წელს პირველად განვახორციელებთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის და ფრინველის მასობრივად გასუქებას. პირუტყვის კვების, მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებით მინიმუმამდე შევამცირებთ პირუტყვის სიკვდილიანობას და აღმოვფხვრით ძროხების ბერწიანობას.

მეცხოველეობაში უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

გ. გრიგვაძე,
ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

ტ. წაქაძე,
ხაკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი,

ა. გაჩეჩილაძე,
ფერმის გამგე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ ქართველი მეცხვარეები ცხვრის საზაფხულო იალაღებისაკენ მიმავალ ტრასებზე ეცნობიან. ამ უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტმა მეცხოველეებში დიდი აღფრთოვანება და შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მწყემსები ი. ბასილიშვილი (ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), გ. და ზ. კიურეგიანები (წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობა) ეცნობიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პატრიოტული საქმე

დიდი ინტერესით წავიკითხეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ქალაქ ლენინგრადში. ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა დაგვისახა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორციის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. ეს ახალი შრომითი მამაცობისათვის აღგვაფრთოვანებს.

წარმატებით ვემზადებით დიადი თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

დაუღალავი შრომით ბევრის გაკეთება შეიძლება. მაგალითად, შარშან თვითეულ დედაღორზე 7,6 გოჭზე მეტი ვერ გამოვზარდეთ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ღორებს კარგად ვერ ვუვლიდით. წელს გოჭების გაზრდის წლიური დავალება უკვე გადამეტებით შევასრულეთ. ფერას 600-მდე გოჭი შეემატა.

პარტიის მოწოდებას რომ გავეცანით, ჩვენი შესაძლებლობანი ავწონდავწონეთ, გადავსინჯეთ ნაკისრი ვალდებულებანი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეგვიძლია ამ საქმეში ბევრი რამის გაკეთება. კოლმეურნეობის წევრთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 43 ცენტნერი ხორცი და 187 ცენტნერი რძე, ყოველ ას ჰექტარ სახნავზე — 56 ცენტნერი ღორის ხორცი, წელს გავასუქოთ 150 სული ღორი; 1957 წლის შვიდი ნოემბრისათვის მთლიანად შევასრულოთ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის სავალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმა; ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე სახელმწიფოს მივყიდოთ 29 ცენტნერი ხორცი.

ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობას.

შ. ნიბლაძე,
გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

ვ. სამადაშვილი,
მეღორეობის ფერმის გამგე,

ვ. ქურთიაშვილი,
მეძროხეობის ფერმის გამგე,

ხ. არდაზიშვილი,
ზოოტექნიკოსი.

თავდადებულად ვიშრომებთ

მარნეულის რაიონის სოფელ დიდი მუღანლოს კოლმეურნეობის წევრებმა გულდასმით შევისწავლეთ წითელწყაროელ მეცხოველეთა ვალდებულებანი, ჩვენი მხრივ დავსახეთ ღონისძიებანი და ვიკისრეთ: 1957 წელს მივიღოთ 930 ცენტნერი ხორცი, ამრიგად, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 30 ცენტნერი ხორცი. წლის ბოლომდე გავასუქოთ 40 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 300 ცხვარი და 200 ღორი. პირობას ვიძლევით ადგილობრივი ჯიშის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 1.250 ლიტრი რძე, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოოთ 450 კილოგრამი მატყლი, თვითეულ ძროხაზე დავამზადოთ 8 ტონა სილოსი.

სოფელ ქენჩალოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა პირობა დადეს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიაღწიონ 32 ცენტნერი ხორცის, ხოლო ყოველ ას ჰექტარ სახნავზე 15 ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებას, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღონ 120 ცენტნერი რძე და 550 კილოგრამი მატყლი. ქენჩალოელები ვარაუდობენ 1960 წლისათვის ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოონ 50 ცენტნერი ხორცი, 180 ცენტნერი რძე.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოფელ დამიას გორკის სახელობის და სოფელ აშაფასარალის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა. მათი ვალდებულება ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღონ 30 ცენტნერი ხორცი, სულ მცირე 100 ცენტნერი რძე და 450 კილოგრამი მატყლი. თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით, ახალი, პროგრესული წესების გაბედულად დანერგვით შევასრულებთ ჩვენ მიერ ნაკისრ გალდებულებებს.

კ. შაბანოვი,
სოფელ დიდი მუღანლოს ყაზანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

გ. გუსეინოვი,
სოფელ ქენჩალოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

ნ. ვანიანი,
სოფელ დამიას გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი

როგორც პრესაში უკვე ვიუწყებოდით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამ წლის 16 აპრილის ნოტაში დაეთანხმა საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ მოეწყოს მთავრობათა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხებზე.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ტექსტი საბჭოთა მთავრობის პასუხისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ხსენებულ ნოტაზე.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო უდასტურებს თავის პატივისცემას სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს და ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიმდინარე წლის 16 აპრილის ნოტასთან დაკავშირებით პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობას, რომ უახლოეს ხანში მოეწყოს მთავრობათა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხებზე. ფედერალური მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილთან დაკავშირებით, რომ ეს მოლაპარაკება მოეწყოს მოსკოვში, ბოლო დასადებ შეთანხმებათა ხელისმოწერა მოხდეს ბონში, საბჭოთა მთავრობა იწვევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას ჩამოვიდეს მოსკოვში, რათა მოლაპარაკება დაიწყოს ამა წლის 15 ივნისს, თუ ეს ვადა მისაღებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისათვის. სსრ კავშირის მთავრობა იმას ითვალისწინებს, რომ ამ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და ფედერალურ კანცლერს კ. ადენაუერს შორის წერილების გაცვლის დროს. საბჭოთა მთავრობას, კერძოდ, მხედველობაში აქვს შესაბამის შეთანხმებათა დადება, რომლებიც მტკიცედ საფუძველს ჩაუყრიან საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებასა და ყოველმხრივ განვითარებას, აგრეთვე საკონსულო კონვენციის დადება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებს თავიანთი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

რაც შეეხება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტაში მოხსენიებულ რეპატრიაციის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მთავრობისათვის კარგად არის ცნობილი, სავსებით დაამთავრა საბჭოთა კავშირის ერთ დროს მსჯავრდადებულ გერმანელ მოქალაქეთა რეპატრიაცია, რაზეც ლაპარაკი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს 1955 წლის სექტემბერში. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება წამოიჭრას ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი საბჭოთა კავშირიდან ცალკეულ გერმანელ მოქალაქეთა რეპატრიაციის დონისძიებათა განხორციელების დროს, ისევე როგორც საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, საბჭოთა აღგილგადანაცვლებულია მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებასთან, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან ფედერაციულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკებას მოსკოვში მოჰყვება შეთანხმებათა დადება, რომლებიც საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარების ინტერესების შესაბამისი იქნება.

მოსკოვი, 1957 წლის 23 მაისი“.

საკრძესის განცხადება

ორდანიაში შექმნილი ვითარება კვლავ იპყრობს საერთაშორისო საზოგადოებრივი წრეების ყურადღებას. ეს გასაგებიც არის, რადგან იმპერიალისტური სახელმწიფოთა პოლიტიკამ, რომლის მიზანია აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, უკანასკნელ ხანს თავისი დამახასიათებელი გამოვლინება ჰპოვა ორდანიის მიმართ.

ყოველ დღეს მოაქვს სულ ახალი და ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ორდანიის ამბები წარმოადგენენ კოლონიზატორთა შეთქმულების შედეგს, რომლებმაც, ეყრდნობიან რა უკიდურეს რეაქციულ ძალებს ორდანიაში, მიზნად დაისახეს გატეხონ ორდანიელი ხალხის წინააღმდეგობა და დაადგან მას ახალი კოლონიური უღელი ყბადაღებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის“ სახით.

მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ, რომ ორდანიის ამბებს ზურგს უმაგრებენ ამერიკელი ნავთობის მაგნატები. ისინი არაბული აღმოსავლეთის ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვისათვის უსწორდებიან არაბ პატრიოტებს, რომლებიც იცავენ არაბი ხალხების სამართლიან ეროვნულ საქმეს, მათს უცილობელ უფლებას — თვითონ განსაზღვრონ საკუთარი ბედი. მხოლოდ იმათ, ვინც ფაქტებს აბუჩად იგდებს, შეუძლიათ სხვა შეფასება მისცენ ამ ამბებს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვეკრძალოს აეკლოს ორდანიის მეფე ჰუსეინის ინტერვიუს, რომელიც ამ დღეებში გაავრცელა ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ. ინტერვიუში არის ცდა გამართლონ ორდანიის ამბების ნამდვილი დამნაშავენი და ამასთან ერთად ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ორდანიის ამბები ინტერვიუში დახატულია როგორც „საბჭოთა კომუნიზმის“ საქმიანობის შედეგი ან როგორც „უწესობა“. გამოწვეული აგრეთვე საბჭოთა კავშირის რაღაც მოქმედებით. რა თქმა უნდა, მეფე ჰუსეინმა ძალიან კარგად იცის, რომ ყოველივეს, რაც მან საბჭოთა კავშირის შესახებ თქვა, სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. სიმართლე, როგორც ჩანს, სასიამოვნო არ არის ორდანიის პატრიოტების ელჭის ორგანიზატორებისა და უცხოელი სულისჩამდგმელებისთვის და ამიტომ ისინი ცდილობენ მიჩქმალონ კვალი.

ყოველი პატიოსანი ადამიანი არ შეიძლება არ ხედავდეს, რომ ორდანიის ამასწინანდელი ამბების ნამდვილი ბრალი მისი ტერიტორიის გადაქცევა არაბთა სახელმწიფოების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ახალი დივერსიებისა და ავანტიურების კერად, იმისადმი მისწრაფება, რომ ორდანია და არაბთა სხვა ქვეყნები ჩაითრიონ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, რომელთა მიზნები უცხოა ამ ქვეყნების ეროვნული ინტერესებისათვის.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ზეგავლენით, ორდანიის კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევით, ორდანიაში ძალით შეუყვანეს ხალხის არჩეული პარლამენტის სამანათბა. მოსახლეობის პროტესტების მიუხედავად, დათხოვილია პარლამენტის მიერ შექმნილი მთავრობა, შემოღებულია სამხედრო წესები, ამასთან ათასობით პატრიოტი გამომწყვდეულია საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ყველას, ვინც მოითხოვს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ორდანიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეგვიპტესთან, სირიასთან და არაბთა სხვა სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, — თავს დატყდა სამხედრო-პოლიციური ტერორი და რეპრესიები.

ორდანიაში დაპატიმრებულია ბევრი ყოფილი მინისტრი, პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი, დათხოვნილია ყველა პოლიტიკური პარტია, აკრძალულია პროფკავშირები, არაბ სტუდენტთა კონგრესის ორგანიზაციები, ორდანიის ქალთა კავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო აპარატიდან და არმიიდან ითხოვენ პატრიოტულ ელემენტებს, რომლებმაც კოლონიალიზმის ასე თუ ისე მტკიცე მოწინააღმდეგეებად გამოიჩინეს თავი.

ამრიგად, ორდანიაში დამყარებულია რეაქციის აშკარა დიქტატურა, რომლის მიზანია ორდანიის მთელი პატრიოტული ძალების, ყოველივე პროგრესულის ჩახშობა. ყველა ამ ამბავში ფარულად მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები, რომლებიც აქ, ისე როგორც ყველგან, გამოდიან როგორც კოლონიური დესპოტიზმისა და რეაქციის დასაყრდენი.

ასეთია „თავისუფლება“ ორდანიაში, რასაც ყოველწარიად ასხამს ქებადიდებას ამერიკის ოფიციალური პრესა და, ხოლო მასთან ერთად მეფე ჰუსეინიც.

ორდანიის გენერალური შტაბის ორმა უფროსმა, რომლებიც შეიცვლილ იქნენ ერთიმეორის მიყოლებით და რომლებიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ორდანიიდან, საჯაროდ ამხილა ორდანიაში მომხდარი გადატრიალების ნამდვილი ანტიეროვნული მიზნები და მისი ორგანიზატორები, ამასთან მათს გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში აქტიური როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ორდანიის დედაქალაქ ამანში. ორდანიის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის აბუ ნუვარის განცხადების თანახმად, ორდანიაში იმპერიალისტური შეთქმულების მიზანია „მოახდინოს მთელი ღიბერალური ელემენტების ლიკვიდაცია ორდანიაში, თავს მოახვიოს ორდანიას ეიზენჰაუერის დოქტრინა, ჩამოაშოროს იგი ეგვიპტესა და სირიას და შეიყვანოს ბაღდადის პაქტში“.

პრესის ცნობებიდან აგრეთვე უკვე ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში ორდანიაში გადატრიალების წინ ხდებოდა ასობით სპეციალური ავტენი გადატრიალების მოსაწყობად და ორდანიელი პატრიოტების წინააღმდეგ რეპრესიების განსახორციელებლად.

ორდანიის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორებისათვის ესეც ცოტა აღმოჩნდა. იცოდნენ რა, რომ ორდანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამ ანტიეროვნული შეთქმულების წინააღმდეგია, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაიგზავნა ამერიკის მეექვსე სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამ ფლოტის სარდალი იმუქრებოდა, რომ ატომურ იარაღს გამოიყენებდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი აშკარად იმუქრებოდა, რომ ამერიკის ჯარების ხელში ჩაგდების შემთხვევაში ისინი ატომური ბომბებით დაბომბავდნენ ორდანიის ტერიტორიას.

ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიზატორებმა დღემდე ვერ მოახერხეს ჩაეთრიათ არაბთა სახელმწიფოები, გარდა ერაყისა, აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, რომლებიც მიმართულია არაბი ხალხების დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგ, მშვიდობის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ისინი არ წყვეტენ ცდებს ამ მიმართულებით. ამჯერად „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას“ იყენებენ იმისათვის, რომ გათიშონ არაბთა ქვეყნები, მათ შორის შექმნან უნდობლობისა და ეჭვის ატმოსფერო, ცალცალკე დაამორჩილონ ისინი, შეასუსტონ მათი წინააღმდეგობა კოლონიზატორების გეგმებისადმი.

საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში, როგორც ცნობილია, ზუსტად ითვალისწინებს ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს. ის ყოველმხრივ ეხმარება ამ ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში, ეროვნული კულტურის განვითარებაში, ეროვნული კადრების აღზრდაში. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ემხრობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს, ეროვნული დამოუკიდებლობის ბრძოლაში ეხმარება მათ.

საბჭოთა კავშირის ხალხისათვის სურს მხოლოდ კეთილდღეობა და წარმატება დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზაზე. სსრ კავშირი იყო და არის არაბი ხალხების თანმიმდევრული და ერთგული მეგობარი და საქმით დაამტკიცა ეს იმ დღეებში, როცა სუეცის არხის რაიონის ამბებთან დაკავშირებით სერიოზული საფრთხე მოელინა არაბი ხალხების დამოუკიდებლობას, საყოველთაო მშვიდობას საქმეს.

რაც შეეხება არაბთა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობას, მეფე ჰუსეინის ინტერვიუში მტკიცების საწინააღმდეგოა, სსრ კავშირი სრული გაგებით ეპყრობა არაბი ხალხების, მათ შორის ორდანიის საჭიროებებს. საბჭოთა კავშირი უკვე უწევს და კვლავაც მზად არის გაუწიოს კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ახლოსავლეთის ხალხებს შესაძლო დახმარება თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. კარგად ცნობილია, რომ ორდანიის საბჭოთა კავშირისათვის არ მიუმართავს ეკონომიური დახმარების მისაღებად. ეს ნიშნავს, რომ უნიადაგოა ცდა — ეჩვი დაბადონ საბჭოთა კავშირის მოტივების მიმართ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი ეკონომიური დახმარების გაწევის საკითხთან დაკავშირებით.

ორდანიაში მომხდარი ამბების დამნაშავეებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ თავისუფლად მოეპყრონ ფაქტებს, ცდილობენ რა შეცდომაში შეიყვანონ მომხრობი ადამიანები ამ ამბების ნამდვილი მიზეზებისა და ხასიათის შესახებ. მაგრამ გამოცდილება ცხადყოფს, რომ ცხოვრება ურს ძირებს იმ ხალხურ ნების საწინააღმდეგოდ და ერთი მუჯა კაპიტალისტური მონოპოლიების ვიწრო ინტერესებისათვის ცდილობენ უკან დაბრუნონ განვითარება აღმოსავლეთის ხალხებისა, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზით მიდიან.

ისტორია გვასწავლის, რომ არ შეიძლება წარმოშობილი თავისუფალი აზრის ჩახშობა ან მისთვის ბორკილის დადება. მართალია, წარსულში იყო მსგავსი ცდები, მაგრამ კარგად ცნობილია, თუ რით დამთავრდა ამგვარი ცდები. ეს მეფე ჰუსეინმაც უნდა იცოდეს.

ორდანიის ამბების სულისჩამდგმელთ აშკარად არ მოსწონთ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული მეგობრული პოლიტიკა არაბთა ქვეყნების მიმართ, რადგან იგი გზას უღობავს კოლონიზატორებს და იმ წრეებს ამ ქვეყნებში, რომლებიც მზად არიან მარცხნივ და მარჯვნივ ყიდონ თავიანთი ხალხების ეროვნული ინტერესები ამერიკელ მილიარდერთა საამებლად.

იმპერიალისტებს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობა და სიმშვიდე როდი ესაჭიროებათ; ისინი ცდილობენ გადააქცინ არაბთა ქვეყნები თავიანთ სამხედრო პლაცდარმად, თავიანთი გამღიძრების წყაროდ, მუდმივი კონფლიქტებისა და სამხედრო პროვოკაციების კერად.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში აცხადებენ, რომ სსრ კავშირი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია იმით, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობა და სიმშვიდე იყოს. როგორც უკვე წინათ ვაცხადებდით, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ვითარებას, რომელიც ორდანიის რაიონში შეიქმნა იმპერიალისტთა ბრიკების შედეგად, რადგან მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელიც სსრ კავშირს ესაზღვრება, არ შეიძლება არ ეხებოდეს მისი უშიშროების ინტერესებს.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელთა მოუმზადებლობა გამოვლინდა

ამ დღეებში მოეწყო საქართველოს სსრ კავშირგამშულობის სამინისტროს გორის კანტორის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის (სწავლების მეორე წელი) მთრიგი შემაჯამებელი მეცადინეობა.

— აბა ვინ ისაუბრებს იმაზე, თუ რა სიძნელეები არსებობდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში და როგორ ძლევდა მათ პარტია? — აყენებს კითხვას პროპაგანდისტი ს. ჩუტკერაშვილი.

— მსურველი არავინ არის? — და ცოტა ხნის ცდის შემდეგ თვითონ ასახელებს ამხანაგებს. ...ილაპარაკა ერთმა, მეორემ, მესამემ, მაგრამ არც ერთის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იყო.

— ვის სურს დაუმატოს კიდევ.

მსურველი არავინ არის. პროპაგანდისტი აყენებს დამატებით კითხვებს.

— როგორ გამონახა პარტიამ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო სახსრები, ანდა რას იტყვით სოციალისტური დაგროვების წყაროებზე, მის ძირითად განსხვავებაზე კაპიტალისტურისაგან?

— პარტიამ და მთავრობამ გამოუშვეს სახელმწიფო სესხი — უპასუხებს მსმენელი პ. მანჯავიძე.

ამგვარი დიალოგებით მიმდინარეობდა შემაჯამებელი მეცადინეობა. მსმენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პასიური იყო, ნაწილი კი მოკლე და არაზუსტ, ზოგჯერ მცდარ პასუხს იძლეოდა.

მეცადინეობაზე არაფერი თქმულა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

როცა საუბარი ხუთწლიან გეგმებს შეეხო, მსმენელები ამ გეგმების მიღების წლებისა და შესრულების ვადების დასახელებას დასჯერდნენ. ამხანაგები საფუძვლიან ცოდნას ვერ ამჟღავნებდნენ ხუთწლედების ძირითადი ამოცანების განმარტებისას.

რამდენიმე სიტყვა სხვა ნაკლოვანებებზეც. ამ წრეში, გარდა კავშირგამშულობის გორის კანტორისა, მსმენელები არიან აგრეთვე ელჭსელიდან, შემნახველი სალაროდან, ფართო მოხმარების საგნების საწარმოდან და კომუნალური ბანკიდან. ამ საწარმო-დაწესებულებათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ევალებოდათ უკეთ ეზრუნათ წრის ნორმალური მუშაობისათვის. სამწუხაროდ, ელჭსელის, შემნახველი სალაროს და ფართო მოხმარების საგნების საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაციები დაკმაყოფილდნენ მსმენელების წრეში ჩაბმით და ყურადღება არ მიაქციეს მათს სწავლებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მსმენელების ერთ წრეში ასე ხელოვნურმა გაერთიანებამ წრის მუშაობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

სწავლის პერიოდში წრეში იყო აგრეთვე მსმენელთა გამოკლების და დამატებით ჩარიცხვის შემთხვევები. კავშირგაბმულობის გორის კანტორის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი თ. წულუკიძე) ამხანაგების სურვილი არ გაითვალისწინეს. კომუნისტები ლ. მარიშვილი და ლ. სამაგლიშვილი, მათი სურვილის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში ჩააბეს; შემდეგში მათ საღამოს უნივერსიტეტი მიატოვეს და პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში დაიწყეს მეცადინეობა.

ახალ სასწავლო წელს ეს და სხვა ნაკლოვანებანი კარგად უნდა გაითვალისწინონ როგორც ზემოთ დასახელებულმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ისე პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უცხო ქვეყნების მეცნიერები არჩეული არიან ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეცნიერული ურთიერთობა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიასა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა შორის.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი აკადემიას წევრ-კორესპონდენტებად: პეკინის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი იუე და-ფუ, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეცნიერთა-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი ლო ძუნ-ლო, ნანკინის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ძინ შან-ბაო, გ. დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საკვებმწარმოების კათედრის გამგე პროფესორი კირილე ბაგლოვი (ბულგარეთი); ბუდაპეშტის უმაღლესი ვეტერინარული ინსტიტუტის კათედრის გამგე აკადემიკოსი რეეე მანინგერი; გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ჰანს შტუბე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა); ფრაცლავის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი აკადემიკოსი ბოლესლავ სვენტოხოვსკი (პოლონეთი), ვარშავის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიად

არღვევენ ჩაის კრეფის აგროწესებს

ჩაის კრეფაში დაწინაურდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. მაგრამ აქაც ვხედებით კრეფის წესების დამაზინჯებას. ჩვენ ვნახეთ მეჩაიეები, რომლებიც ფოთოლს ჩანთებში კრეფდნენ. კოლმეურნეობის აგრონომი ა. სიხარულიძე ამ მდგომარეობის აღსაკვეთად რატომღაც ზომებს არ იღებს.

შუა განახლების მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში (ხელმძღვანელი თ. ზამბახიძე) დაუმუშავებელი პლანტაციები აქვთ, ზოგიერთ ნაკვეთში შემოუსვლელ ფოთოლს კრეფდნენ. ეს ხდება კოლმეურნეობის თავმჯდომარის, გამოცდილი სპეციალისტის ამხ. ნ. დოლიძის თვალწინ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ყველგან ისე როდი მუშაობენ, როგორც ამას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება მოითხოვს. რით უნდა აიხსნას, რომ ბუკნარის კოლმეურნეობაში დღემდე მხოლოდ 2.080 კილოგრამი ფოთოლია მოკრეფილი — მაისის დავალება შესრულებულია მხოლოდ 3,6 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ფ. მახარაძე) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფას აჭიანურებენ. კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე დ. შარაშიძე), პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ი. კობიძე) სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს ის, რომ კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი თავს არიდებს შრომას. ამ მხრივ ყველაზე უარესი მდგომარეობაა მეოთხე ბრიგადაში (ბრიგადირი ი. თოდრია), სადაც 28 შრომისუნარიანი კოლმეურნეა, ხოლო ყოველდღიურად ფოთლის საკრეფად მხოლოდ 15-18 გამოდის. კოლმეურნეები ქ. გიორგაძე, ე. ჩხარტიშვილი, ლ. მიქაშავიძე, ლ. თავბერიძე, ნ. ჩხიკვიშვილი, ც. ბოლქვაძე, ც. ჩხიკვიშვილი, ლ. მგალობლიშვილი და სხვ. ჩაის ფოთლის კრეფის ამ ცხარე დღეებში ცუღლუტობენ, სამუშაოდ არ გამოდიან. მათ მიმართ კი სათანადო ზომებს არავინ იღებს.

ამ სეზონში ჩოხატაურელებმა ნაკისრი ვალდებულების მიხედვით 4 მილიონი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა დაამზადონ.

ამ ვალდებულების წარმატებით შესრულება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა.

ვ. ჯაში,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი,

გ. თავაძე,
აგრონომი,

გ. ვაჩეიშვილი,
რაიონული გაზეთ „ბრძოლის დროშის“ მუშაკი,

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 26 მაისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	მაის-ივნისისა
ბათუმის	25,1	54,3
ქობულეთის	20,0	43,2
ქედის	8,8	19,0
სულ აჭარაში	21,3	46,0
გალის	20,6	44,6
ოჩამჩირის	22,8	49,7
გულრიფშის	26,3	57,2
სოხუმის	26,1	56,8
გუდაუთის	24,7	53,6
სულ აფხაზეთში	22,1	47,8
მახარაძის	15,4	33,5
ჩოხატაურის	21,3	46,2
ლანჩხუთის	19,2	41,6
სამტრედიის	20,4	44,6
წულუკიძის	14,7	31,3
ჭუთაისის	18,7	40,6
წყალტუბოს	24,4	53,1
ტყიბულის	19,6	44,1
ცხაკაიას	13,6	28,9
აბაშის	11,1	24,0
გეგეჭკორის	20,2	44,1
ზუგდიდის	16,0	35,0
წალენჯიხის	22,0	49,0
ჩხოროწყუს	23,3	50,6
ხობის	18,2	39,7
თერჯოლის	36,5	78,8
ზესტაფონის	20,0	42,9
ჭიათურის	21,0	46,7
ვანის	14,0	28,0
სულ რესპუბლიკაში	19,1	41,5

სამტრედიის, ჭუთაისის და ცხაკაიას რაიონების ცნობები არასრულია.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა მ. დანილოვა (წინა პლანზე), რომელიც დღეში კრეფს 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 კილოგრამისა. ფოტო ს. კოროტკოვისა.

რატომ არის სიცარიელე თბილისის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში?

„კომუნისტის“ რეიდი

გაზაფხული მიწურა. თბილისის საყოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრები სავსე ნაირნაირი ბოსტნეულით, მწვანილით, ხილით.

მაგრამ საყოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრები ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ აქ საადრეო ხილის ფასი ძალიან მაღალია და, მეორეც, — ეს ბაზრები ქალაქის განაპირა უბნებს საგრძნობლად არის დაშორებული. ქალაქში „თბილხლბოსტანვაჭრობის“ მაღაზიები კი ცარიელია.

ამ სავაჭრო ორგანიზაციას თბილისში აქვს ოცდათხუთმეტი მაღაზია და შვიდი ფარდული, რომელთა მთავარი დანიშნულებაა მოსახლეობისათვის ბოსტნეულის, მწვანილისა და ხილის მიწოდება. მეტწილ მაღაზიებში არც ხილი აქვთ, არც ახალი ბოსტნეული და არა უნდა მიაწოდონ მომხმარებელს! სამაგიეროდ ბოსტნეულის მაღაზიებსა და ფარდულებში მთავარი ყურადღება აქვს დათმობილი ისეთი ასორტიმენტის პროდუქტებით გაჭრობას, როგორიც არის საკონდიტრო ნაწარმი, მინერალური წყლები, კონსერვები და მაგარი სასმელები.

„თბილხლბოსტანვაჭრობის“ მე-14 მაღაზიაში ჩოდრიშვილის ქუჩის შესახვევში (გამგე გ. ჭელიძე), მე-17 მაღაზიაში კოლექტივიზაციის ქუჩაზე (გამგე გ. მამალაძე), 31-ე მაღაზიაში ბრძოლის ქუჩაზე (გამგე ა. ომიაძე), მე-3 მაღაზიაში მელიქიშვილის და ყაზბეგის ქუჩების კუთხეში (გამგე ნ. იმნაიშვილი) ხილზე რომ არაფერი გთქვათ, აშკარად თუ შეხვდებით მწვანილს და ბოსტნეულს, ხოლო თუ შეხვდებით, იმასაც დამჭკნარს, გაყვითლებულს, ლპობადაწყებულს.

„თბილხლბოსტანვაჭრობის“ ექსპედიცია ამ მაღაზიებში მწვანილსა და ბოსტნეულს აშკარად გზავნის. მაგალითად, მე-17 მაღაზიაში 5-დან 10 მაისამდე მხოლოდ 45 კილოგრამი ბოლოკი მიიღეს, იმასაც ვერ უპატრონეს და გააფუჭეს. ხოლო უკანასკნელი 5-6 დღის განმავლობაში აქ ბოსტნეული და ხილი თვალითაც არ უნახავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამყიდველი ცუდად უვლის ახლადმიღებულ ბოსტნეულს, რაც იწვევს მის გაფუჭებას. ამის მაგალითები ბევრია.

რასაკვირველია, „თბილხლბოსტანვაჭრობის“ ყველა მაღაზიაში ისე როდია ჩამლილი საადრეო ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობა, როგორც ზემოთჩამოთვლილ მაღაზიებში.

პირველ მაღაზიაში (დირექტორი ხ. ერეკლიანი), მეოთხე (დირექტორი პ. ხარჭამაძე), მეექვსე (დირექტორი დ. ჯოხაძე) და მეშვიდე (დირექტორი შ. უგულავა) მაღაზიებში შედარებით უკეთ მუშაობენ; ყოველდღე არა, მაგრამ უფრო ხშირად აქვთ მწვანილი, სხვადასხვა ბოსტნეული, მომხმარებელს შედარებით უკეთეს მოსახურებას უწევენ. ეს უწინარეს ყოვლისა მიეწერება ამ მაღაზიების ხელმძღვანელთა დაინტერესებასა და უნარიან მუშაობას. სამწუხაროდ, ასეთი მაღაზიები თითებზე ჩამოსათვლელია.

ბოლო ხანებში თბილისის ხილბოსტანვაჭრობის ხელმძღვანელებს ეტყობა დაავიწყდათ, რომ მათ ქალაქში გახსნილი აქვთ ფარდულები, რომლებსაც არ ამარაგებენ მწვანილით, ბოსტნეულითა და ხილით. მე-9 ფარდულში (გამგე ვ. ელბაქიძე) გახსნის დღიდან—1 მაისიდან 21 მაისამდე მიიღეს მხოლოდ 17 კილოგრამი მწვანილი და რამდენიმე ტონა კარტოფილი.

„თბილხლბოსტანვაჭრობის“ სავაჭრო განყოფილებამ (უფროსი მ. გორგიაშვილი) ვერ უზრუნველყო ყველა მაღაზიის შეუფერხებელი მომარაგება საქონლით. თუ მე-7 მაღაზიაში, რომელიც ყოფილი ავჭალის ბაზრის გვერდით მდებარეობს, ასე თუ ისე სისტემატურად არის მწვანილი და ბოსტნეული, მე-14, მე-17 და 31-ე მაღაზიებში, რომლებიც საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრებს საგრძნობი მანძილით ორიან დაშორებული, მწვანილსა და ბოსტნეულს ყოველთვის როდი იშოვნით.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მოსახლეობის კიტრითა და ხილით მომარაგების საქმეში. მაგალითად, კიტრი, რომელიც ასე უხვად არის საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრებზე, ხელბოსტნეულის მაღაზიებს არ მოეპოვებათ. მაღაზიაში ბალი და მარწყვიც არ არის. ეს, როგორც ჩვენთან საუბარში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სავაჭრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ჰ. ჯმუხაძემ განმარტა, თურმე იმით აიხსნება, რომ „თბილხლბოსტანვაჭრობას“ კიტრს მახარაძის სახელობის საბჭოთა მეურნეობა აწვდის, ხოლო ამ მეურნეობასთან ხელშეკრულების გაფორმებისას, აგრეთვე მახლობელი რაიონების კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებებში მაღაზიებისათვის ხილის მოწოდება გათვალისწინებული არ ყოფილა. საკითხავია, ვის უნდა გაეთვალისწინებინა ეს და რატომ არ გაითვალისწინეს? რატომ არ იგრძნობა „თბილხლბოსტანვაჭრობის“ მაღაზიებში საქართველოს ბუნების სიუხვე, ქართული ხილის სურნელება? რატომ არა აქვთ უმეტეს მაღაზიებში წყაწატი, ტარხუნა, ბოლოკი, ახალი ტყემალი, ბალი, მარწყვი და ა. შ.? რატომ არ უნდა ჰქონდეს საშუალება თბილისელ მშრომელს ხილიდან სანელებლად საჭირო ქინძი იქვე სამზე მახლობელ მაღაზიაში იყიდოს და იძულებული არ გახდეს შორს, საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზარში წავიდეს? ვისი მოუქნელობით თუ დაუდევრობით არის დაცარიელებული მწვანილისა და ხილისაგან სახელმწიფო ვაჭრობის ქსელის მაღაზიების თაროები?

პასუხი ერთია: ამაში ბრალი მიუძღვის „თბილხლბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელობას, რომელიც ვერ იჩენს სათანადო უხას, წინდახედულობას, რათა უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით, მწვანილითა და ხილით.

წელს „თბილხლბოსტანვაჭრობის“ სავაჭრო ქსელში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 158 ტონით მეტი ბოსტნეული შეტანილა. ეს კარგია, მაგრამ ნუთუ არ შეეძლოთ იმავე „თბილხლბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელებს წინასწარვე სათანადო ხელშეკრულების დადება იმ რაიონების კოლმეურნეობებთან, სადაც უფრო ადრე შემოდის მწვანილი, ბოსტნეული და ხილი?

„თბილხლბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელებმა (დირექტორი გ. კორძაია) უნდა გაითვალისწინონ ყოველივე ეს და მეტი ენერგიითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ თბილისის მოსახლეობის მომარაგების ხელითა და ბოსტნეულით.

გაზეთ „კომუნისტის“ სარედო ბრიგადა: დ. ზალდასტანიშვილი (საბჭოთა ვაჭრობის ინსპექტორი), თ. ჭოიავა, რ. შავიშვილი, ზ. ჩილაჩავა, შ. ცირეკიძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფელ ციხისძირის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო მიწის ფართობებში იჭრებიან, უხეშად ირღვევა საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპები, საფინანსო დისციპლინა, სწერდნენ რედაქციას სოფლკორები მცხეთის რაიონიდან.

აღნიშნულ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომმა. წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევისათვის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მამედ აივაზოღლის გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი სუსტი კონტროლისათვის პარტორგანიზაციის მდივანს არაბიმ ფირალიოღლის გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობაში საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის კოლმეურნეობის მოანგარიშეს რუბენ ბედიანაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ნერუნ თორგომიანი

დაბადების 60 წლისთავის გარდა

27 მაისს საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ცნობილი სომეხი მწერლის წერუნ თორგომიანის დაბადების 60 წლისთავი. წ. თორგომიანი თბილისში მომუშავე სომეხ მწერალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თვი ოთხ ათეულ წელზე მეტია ეწევა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1916 წელს თბილისში დაიბეჭდა წ. თორგომიანის პირველი ლექსები, მალე მას მოჰყვა მისი მოთხრობები და რომანები, რომლებმაც მკითხველთა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მწერალს შემოქმედების დიდი ასპარეზი მიეცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

წ. თორგომიანი თავის ნაწარმოებებში მრავალ თემას ეხება. მოთხრობებში „გმირის სიკვდილი“, „მურო“, „დარდიმანდი კარო“, „უკუღმართი ვოსკანი“ და სხვა ადრინდელ ნაწარმოებებში იგი მხატვრული ფერებით ოსტატურად აგვიწერს თავისი მშობლიური მხარის გასპურაკანის ხალხის ყოფას, ღატაკი, დაჩაგრული ადამიანების უმწეო ბედს, ვაჭრებისა და მემამულეთა მიერ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციას, ამხილებს ბეგებისა და უშების საზიზღარ ჩვეულებას.

თავის მრავალ ნაწარმოებში („მანდილი დაიხურე“, „მშობლიური სიმები“, „მეჯღანე მანასა“, „ამხანაგის ცხოვრებიდან“). იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ სამინელ უბედურებას, რაც სომეხ ხალხს პირველმა იმპერიალისტურმა ომმა მოუტანა, ნათელი ფერებით გადმოგვცემს გერმანელი იმპერიალისტების წაქეზებით თურქი რეაქციონერების მიერ სომხების ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტას, იმას, თუ როგორ ტოვებდნენ სომხები თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალს, იხიზნებოდნენ და ახალ თავშესაფარს ეძებდნენ.

უკანასკნელ ხანებში მის მიერ შექმნილ ვრცელ რომანში „ჩაუქრობელი ცეცხლი“ სომეხი ხალხის ცხოვრების ამ ბოლოქარი დღეების ამსახველი ბრწყინვალე სურათებია მოცემული. ამ რომანმა, რომელიც გამოიცა როგორც თბილისში, ისე ერევანში, მკითხველის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მწერალი მასში დიდი ოსტატობით გადმოგვცემს სომეხი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას სომეხი რეაქციონერების — დაშნაკების პარპაშის დღეებში, მანამდე, სანამ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდებოდა. რომანს წითელ ზოლად გასდევს ხალხთა მეგობრობის იდეა, მხატვრულ ფერებშია ასახული რუსი ხალხის ძმური დახმარება სომხეთის მშრომელებისადმი ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით სხვა გასმულია სომეხი და ქართველი ხალხების ძმური კავშირი და ურთიერთ მეგობრული დახმარება.

მთელ რიგ ნაწარმოებებში, კერძოდ რომანში „ორომტრიალი“, ვრცელ მოთხრობაში „არწივის ბარტყი“, აგრეთვე მოთხრობებში „ვინ არის დამნაშავე“, „ბორის ჩერაკოვი სანგარში“ და სხვ. მწერალი გვიხატავს სამოქალაქო ომის სურათებს ჩრდილოეთ კავკასიაში 1918-1920 წლებში, მუშებისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალისტებისა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

წ. თორგომიანის მთელი ბმით უმღერის თავის ნაწარმოებებში ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ დიად სოციალისტურ მშენებლობას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მისი რომანი „ლურჯ წყლებთან“, რომელშიც მხატვრულად დამაჯერებლობით არის დახატული საბჭოთა ადამიანების გმირული შრომისა და ცხოვრების სურათები. მოთხრობებში „მეღუმელე“, „ღელე“, „უსტა შარქარი“, „მხიარულება“, „ახალი ცხოვრება“ და სხვ. გადმოცემულია ჩვენი გმირული ახმყო, ბედნიერი საბჭოთა ადამიანების ბრძოლა ნათელი მომავლისათვის, მათი ფიქრები და გრძნობები, მათი თავდადებული შრომა საყვარელი სამშობლოს ძლიერების ზრდისა და გაფურჩქნისათვის.

წერუნ თორგომიანი მხურვალე სიყვარულით ასახავს თავის ნაწარმოებებში საქართველოს ლამაზ ბუნებას, ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ მისი მოთხრობები „შარგალიტით მოქედილი ნაწარმოები“, „კოლხიდა“, „ლადოს ნაამბობი“, „ბედნიერი ყარამანი“, „კოლხიდა ჰყვავის“, „მეგობრები“, „ალაზნის ველზე“ და სხვ. იგი ერთბაშად სიყვარულით აგვიწერს როგორც თავისი მშობლიური ხალხის, ისე ქართველი ხალხის ცხოვრებას.

წ. თორგომიანის ნაწარმოებთა ერთი კრებული გამოცემულია ქართულ ენაზე, რაც ქართველმა მკითხველმა გულთბილად მიიღო. წერუნ თორგომიანი ნიჭიერი პროზაიკოსია. მას აქვს მომზადველი ენა, ფლობს თხრობის მაღალ კულტურასა და ოსტატობას, რის გამო მისი თვითეული ნაწარმოები შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

გ. ქრაჯიანი.

წერილი რედაქციას

★ ★

შენიშვნები ერთი პიესის გამო

არ შეიძლება გულისტკივილი არ გამოვთქვა იმ ცუდი სპექტაკლის გამო, რომელიც ამჟამად იდგმება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

გაუგებრობას იწვევს ის გარემოებაც, რომ ეს სპექტაკლი შეტანილი იყო მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების რეპერტუარში. ხსენებული სპექტაკლის სახელწოდებაა ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“.

არის ხოლმე ისეთი „ნაწარმოები“, რომელიც არ შეიძლება გახდეს აკადემიური მსჯელობის საგნად — ვერავითარ შეფასებას ვერ იმსახურებს იგი — თუნდაც ეარყოფითს, მაგრამ გაჩუმებაც არ ძალგძს, რამდენადაც ამ „შემოქმედებით“ უმასპინძლდება დედაქალაქის საზოგადოებრიობას რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ს. კლდიაშვილის პიესის სათაური „შემოდგომის აზნაურები“ — დავით კლდიაშვილის ცნობილი ეპითეტია. იგი გამოიყენა დიდმა მწერალმა განსაზღვრული ეპოქის ხასიათებისა და გარემოს გამოსახატავად. ს. კლდიაშვილმა, ამ ეპითეტებს და ამასთანავე დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟებს — კაროვნას, დარისპანს, ოსიკოს, ჭაიხოსროს და სხვ., გამოაცალა სული, შინაარსი, ენა, წაართვა აზროვნება, გამოშიგნა და ასე „გაათავისებურა“.

გარეგნული ეფექტის მოხდენის სურვილით გატაცებულთ (ჩხუბი, ღანძღვა-გინება, ცემა-ტყეპა, მანქვა-გრეხა) და მსუბუქი გართობის იოლი გზის მაძიებელთ — ხსენებული სპექტაკლის ავტორებს (დრამატურგსა და დამდგმელს) დავიწყებიათ, რომ ისინი ამ გზით უდიერად ეჭცევიან ჩვენს ლიტერატურულ შემკვიდრეობას.

ს. კლდიაშვილის ხსენებული პიესა მიმდინარეობს ერთი ძირითადი მოტივის ირგვლივ: ჭალებს სწყურიათ გათხევება, — მთხოვნელი არავინ არის, აზნაურებს შიათ, უნდათ ჭამა-სმა, დროს ტარება და ასე დახეტებიან უგზოკვლოდ სმა-ჭამის მოლოდინში და ასე დაახლოებით ოცი მოწიფული ქალი და იმდენივე მამაკაცი — აზნაური ჯგუფ-ჯგუფად ტრიალებენ მაყურებლის თვალწინ მთელი ოთხი მოქმედების მანძილზე. აკაკის „ღამურასავით“ თვალტანადობა ადამიანისა აქვთ, ხმე და მოქმედება კი — ცხოველისა. ეს ოცი მოწიფული დედაკაცი, გათხევების ინსტინქტით შეპყრობილი, მეტად არასაკადრისად აცვლენს ამ სურვილს. საღ არის თავშეკავება, თანაგრძნობა, კაცთმოყვარეობა, პირადი, ინტიმური სევდის გულში უხმოდ ტარება, რაც დ. კლდიაშვილის ქალთა უპირატესი თვისებაა... გაჭრა დიდი მწერლის საკუთარი თემა, სტილი, ხასიათები და სრულიად ორიგინალური ფორმა.

საერთოდ ეს „შემოქმედება“ დრამა არ არის, არც კომედიაა, იგი უფერული, უსახოა... იგი ფორსიაა, სახუმარო პიესაა, გალექსილი და სიმღერით შესრულებული. სამწუხაროა, რატომ დააქუცმაცა და არარად აქცია ს. კლდიაშვილმა დავით კლდიაშვილის პროზის შესანიშნავი ნიმუში.

რა უნდა გამოიტანოს ამ სპექტაკლიდან მაყურებელმა, უფრო მეტად მოზარდმა თაობამ, რომლის საგაზაფხულო არდადეგების პიესათა რეპერტუარში იგი შეტანილი იყო.

ბ. ჭედლიძე,
საქართველოს ხსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

კარლ ლინეის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

24 მაისს უცხოელთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტმა გამართეს დიდი შვედი მეცნიერი-ბუნებისმეტყველის კარლ ლინეის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს ესწრებოდნენ მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, თბილისის საწარმოდ-დწესებულებების მუშები და მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. ვ. გულისაშვილმა. მოხსენება კარლ ლინეის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფ. ბ. ყურაშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო კარლ ლინეის იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მას მიუძღვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნა ახალი კინოფილმი.

დისკუსია ახალ რომანზე

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მასწავლებლის სახლის გამგეობამ სახელმწიფო თეატრში მოაწყო დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანზე „ვაზის ყვავილობა“, რომელსაც ხუთასამდე კაცი დაესწრო.

მოხსენება თემაზე „კ. გამსახურდიას ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“ წაიკითხა მეოთხე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ქ. ხმიადაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კოკილაშვილი, მასწავლებლები ე. კორკოლაძე, ლ. დეისაძე, დოცენტი შ. ჩიქავაძე, კრიტიკოსი გ. ნატროშვილი და სხვები.

მომხსენებელი და მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ კ. გამსახურდიას ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“ საბჭოთა ქართული ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია, ამასთან მათ გააკეთეს შენიშვნები ნაკლოვანებებზე, რაც, მათი აზრით, აქვს რომანს.

მწერალმა კ. გამსახურდიამ ვრცლად ილაპარაკა „ვაზის ყვავილობის“ შესახებ. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და მოკამათეებს, დამსწრე საზოგადოებას მისდამი გამოჩენისათვის, „ვაზის ყვავილობის“ შესახებ შენიშვნების გაკეთებისათვის.

კ. ე. ვოროშილოვი ხანოიდან გამოემგზავრა

ხანოი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ხანოიდან გაემგზავრნენ, დაამთავრეს რა მეგობრობის ვიზიტი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ხანოის მრავალმა მცხოვრებმა მოიყარა თავი ქუჩებში და გზატკეცილზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლიდან ჟივ-ლამის აეროპორტამდე, რათა გამოთხოვებოდნენ საბჭოთა სტუმრებს.

კ. ე. ვოროშილოვი აეროდრომზე გააცილეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ტონ დიკ თხანგმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ფან კე ტოაიმ, ვო ნგუენ ზიაპმა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინმა და დიპლომატიური კორპუსის წევრებმა.

სიტყვა წარმოთქვა რა აეროდრომზე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა სთხოვა კ. ე. ვოროშილოვს გადასცეს საბჭოთა ხალხს, სსრ კავშირის მთავრობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ვიეტნამელი ხალხის მადლობა და სიყვარული. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ვიეტნამელ ხალხს მხურვალე მიღებისათვის და უსურვა ვიეტნამის სამამულო ფრონტს, ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ვიეტნამელ ხალხს ახალი წარმატებანი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

კ. ე. ვოროშილოვი პეკინში ჩავიდა

პეკინი, 24 მაისი. (საკდესი). ინდონეზიის რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიზიტის შემდეგ დღეს პეკინში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები.

საბჭოთა სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი.

პეკინი, 24 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, ჩამოვიდა რა დღეს პეკინში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი აეროდრომიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს თანხლებით გაემართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენციაში — „ცინჯენდიანში“ ჯუნანხაიში. რეზიდენციის შესასვლელთან ამხ. კ. ე. ვოროშილოვს შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.

მიესალმა რა მაო ძე-დუნს, ამხანაგმა ვოროშილოვმა თქვა: „პრეზიდენტმა სუკარნომ მთხოვა გადმოგცეთ სალამი და საუკეთესო სურვილები. ხო ში მინმა აგრეთვე მთხოვა გადმოგცეთ თქვენ და სხვა ჩინელ ამხანაგებს მხურვალე სალამი. მან გისურვათ თქვენ ყველას ყოველივე საუკეთესო.

მაო ძე დუნმა გულთბილი მადლობა გადაუხადა კ. ე. ვოროშილოვს.

შინეთის პარლამენტის 50 წლისთავის დღესასწაული

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). ფინეთის პარლამენტს, რომელიც იშვა 1905-1907 წლების რევოლუციური ამბების შედეგად, 50 წელი შეუსრულდა. იუბილეს გამო დღეს აქ გაიმართა პარლამენტის საზეიმო სხდომა. ფინეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საკანონმდებლო ორგანოს ახლანდელი და წინანდელი დეპუტატები, რომელთა შორის იყვნენ 1907 წელს არჩეული დეპუტატები, მთავრობის წევრები, საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. სხდომას დაესწრნენ უცხოელი სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ იუბილეს დღესასწაულზე, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. ლობანოვის მეთაურობით, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის პარლამენტების დელეგაციები, საპარლამენტთაშორისო კავშირის წარმომადგენელი.

სხდომა გახსნა ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ვ. ი. სუკსელაინენმა, რომელიც მიესალმა შეკრებილთ.

იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკკონენმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით მისალმება წარმოთქვა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა.

პ. პ. ლობანოვმა ფინეთის პარლამენტს მართვა მისასალმებელი ადრესი და საჩუქარი.

დღეს საღამოს პარლამენტის თავმჯდომარემ ვ. ი. სუკსელაინენმა სადილი გამართა პარლამენტის იუბილეს გამო.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 26 მაისი. (საკდესი). რენე პლევენი, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიანდო „საინფორმაციო მისია“, მთავრობის შედგენის შესაძლებლობის გამოსარკვევად განაგრძობს პოლიტიკურ კონსულტაციას სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან. მოელიან, რომ იგი შეძლებს პრეზიდენტ რენე კოტის ჩააბაროს ანგარიში მემარჯვენე პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების „შერიგების“ ცდის შედეგების შესახებ არა უადრეს 29 მაისისა.

მაგრამ დღეს „ჟურნალ დიუ დიმანში“ იუწყება, რომ პარტიები და ჯგუფები დიდ შეურიგებლობას იჩენენ. ისინი ნამდვილ ომს აწარმოებენ ურთიერთის გამოსაფიტავად. „ამტომ, — წერს გაზეთი, — ოფიციალურ წრეებში გავრცელებული აზრის მიხედვით, ყველაზე ხელსაყრელ პირობებში კრიზისი გადაიქრება არა უადრეს 12 დღისა“.

მაშინ როცა ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები ფარულ ვაჭრობას ეწევიან, საფრანგეთში ძლიერდება მოძრაობა ისეთი მთავრობის შექმნისათვის, რომელიც შეასრულებდა დაპირებას, რაც მემარცხენე პარტიებმა ამომრჩევლებს მისცეს პარლამენტის არჩევნების წინ 1956 წლის 2 იანვარს. ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს, კერძოდ, ყველა სოციალისტმა მერმა, რადიკალ მერთა ნაწილმა და კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის მომუშაონის (ვოკლუზის დეპარტამენტი) კანტონის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მათ რესპუბლიკის პრეზიდენტს და საფრანგეთის მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეებს მიმართეს ერთობლივი წერილით, რომელშიც ნათქვამია, რომ საჭიროა ალჟირის პრობლემა გადაეჭრას მოლაპარაკების გზით, განხორციელდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, გაუმჯობესდეს მშრომელთა ცხოვრების პირობები და ბოლო მოეღოს ფაშისტი ელემენტების ძირგამომთხრელ მოქმედებას. „ჩვენ, — აღნიშნულია წერილში, — დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნულ კრებაში შეიძლება შეიქმნას საჭირო უმრავლესობა, რომელშიც იქნებიან კომუნისტები, სოციალისტები და რადიკალები, — უმრავლესობა, რომელსაც უნარი შესწევს მხარი დაუჭიროს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ჩვენი ხალხის მისწრაფებას შეესაბამება“.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე დიუ დიმანში“ იუწყება, ლიონის მანქანათმშენებელი საწარმოს „ჟანდრონის“ მშრომელებმა ამ მოთხოვნების მხარდასაჭერად გუშინ გამოაცხადეს ხანმოკლე გაფიცვა, ხოლო პარიზის მე-18 ოლქის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა დელეგაცია გაგზავნეს რესპუბლიკის პრეზიდენტთან.

★

71 წლის ჯუუპების ოპერირება

როგორც გაზეთი „ბეიძინუიბაო“ 11 მაისს იტყობინებოდა, 71 წლის სიამელი ტუუპებიდან ერთ-ერთი, რომელიც ორი კვირის წინათ ქირურგიული ოპერაციის გზით მოაცილეს თავის მომაკვდავ ძმას, ამჟამად ჯანსაღდება.

სიამელი ტუუპები — ლიუ შენ-ძე და მისი გარდაცვლილი ძმა ლიუ შენ-ტი ერთმანეთთან შეზრდილი იყვნენ მკერდის ყაფაზთან და მენჯთან. რვა წლის ასაკიდან ისინი ჩინეთში და საზღვარგარეთ დადიოდნენ ამ იშვიათი შემთხვევის საჩვენებლად. ორივემ თავის დროზე ცოლი შეირთო და თითო ვაჟი ჰყავდათ.

ოპერაცია ტუუპის ცალების ერთმანეთისაგან დასაშორებლად ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა „სეხს“ ცნობილ კლინიკაში. ოპერაცია აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ მოსალოდნელი იყო სიკვდილი ტუუპის ერთ-ერთი ცალის ლიუ შენ-ტისა, რომელსაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში მწვავე ბრონქიტი ჰქონდა. როცა ცხადი გახდა, რომ იგი რამდენიმე საათში მოკვდებოდა, გააკეთეს ოპერაცია ტუუპის მეორე ცალის სიცოცხლის გადასარჩენად. ოპერაციის გაკეთებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ავადმყოფი ძმა ლიუ შენ-ტი გარდაიცვალა. გადარჩენილი ლიუ შენ-ძე ახლა სწავლობს სიარულს უძმოდ, რომელთანაც 71 წლის განმავლობაში იყო შეზრცებული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. იგი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს ოპერაციის შედეგად.

„დრუჟბა“, 1957 წლის 18 მაისი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინემატოგრაფის მუშაკთა კონფერენცია

თბილისი — ერევანის, ბაქოსა და საქართველოს კინემატოგრაფის მუშაკთა პირველი შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც 22 მაისს გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა სახლში.

გაცხოველებული კამათი გაიმართა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ფილმების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ი. რაჩუკის მოხსენების გამო „პარტიის XX ყრილობის შემდეგ საბჭოთა მხატვრული კინემატოგრაფის განვითარების შესახებ“.

კონფერენციის მონაწილეებმა ვრცლად განიხილეს აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოშვებული ფილმები, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და დასახეს შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

კონფერენციის დღეებში უჩვენეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმები.

• • •

სურათზე: კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან სხედან) — რეჟისორები: ა. იბრაგიმოვი, ა. აიარტიანი, ნ. სანიშვილი, მ. დადაშევი, გ. სეიდ-ზადე, (დგანან) რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი ა. ნარიმანბეკოვი, რეჟისორი გ. ბალასანიანი, ოპერატორი დ. ფელდმანი, რეჟისორი ა. ისმაილოვი, ი. იბრაგიმოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პირველი წრე 15 ქულით

ძირითად მოთამაშეთა რიგებიდან 5 მოთამაშის ანუ თითქმის ნახევრის გასვლა, ბუნებრივია, ყოველ გუნდს თავის დაღს დაასვამს. ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის „დინამო“ პირველი წრის უკანასკნელ შეხვედრებში.

ასე იყო 25 მაისსაც, თბილისის „დინამოსა“ და ტალინის „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობის დღეს.

შეჯიბრების დასაწყისი დინამოელთა სასარგებლოდ არაფერს მეტყველებდა. სტუმრებმა მეტად მაღალი ტემპი განავითარეს და იერიშს იერიშზე ახორციელებდნენ. შეტევა ფლანგებიდან ხდებოდა, სადაც გამოირჩეოდნენ პონომარენკო, საპრონოვი, ბობოშკო.

არც თუ ისე ხშირად, მაგრამ თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, რომელიც გამოუყენებელი დარჩა.

ტაიმის დამთავრებას ათი წუთი აკლდა, როცა ერთ-ერთი კრიტიკული მომენტის დროს „შახტიორის“ მცველმა კრივენკომ ბურთი ხელით მოიგერია. მსაჯის ლ. სარქისოვის (სოჭი) სასტვენის ხმამ 11-მეტრიანი საჯარიმო გვამცნო. ხასიათ შესანიშნავად გამოიყენა ეს შესაძლებლობა. ანგარიში გახდა 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ. ასე დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი.

შეჯიბრების მეორე ნახევრის მე-20 წუთზე თბილისელებმა ცენტრში ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. ჭკუასელი კარისკენ გაიპრა, მას ფეხდაფეხ მისდევდნენ მცველები, ბრძოლაში მეკარე ჩაწოვიც ჩაება, მაგრამ ოთხ მოწინააღმდეგეში ჰკუასელმა შეძლო დაუფლებოდა ბურთს და „შახტიორის“ კარში გაიტანა იგი. 12 წუთის შემდეგ საჯარიმოდან ზაზროვის მიერ მიწოდებული ბურთი ოსტატურად გაიტანა მცველმა ელოშვილმა.

მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე სტუმრებმა თავი დააღწიეს „შშრალ“ ანგარიშს. ბურთი გაიტანა სპრონოვმა.

შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა პირველი წრის მატჩები და 15 ქულა შეაგროვა.

• • •

კიევი. 24 მაისი. კიშინიოვის „ბურევესტნიკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდების მატჩი ფეხბურთში დამთავრდა ფრედ 0:0.

მოსკოვი. 25 მაისი. XIX ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მოსკოვი. 26 მაისი. სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონის დედაქალაქის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდების ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

მინსკი. 26 მაისი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ მინსკში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

„ბ“ კლასი

ჭ. კიროვი. 26 მაისი. ჭუთაისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა მორიგი შეჯიბრება გამართა ჭ. კიროვში ადგილობრივ „დინამოსთან“. გაიმარჯვეს ჭუთაისელებმა ანგარიშით 4:0.

დღისათვის ჭუთაისის „ლოკომოტივი“ მესამე ზონის ლიდერია.

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

ივნისის პირველ ნახევარში თბილისში გაიმართება სამი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და რუმინეთის გუნდებსა და თბილისის „დინამოს“ შორის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა გაიმართება 1 ივნისს, ინგლისის გუნდისა და თბილისის „დინამოს“ მატჩი — 7 ივნისს, რუმინეთის ფეხბურთელთა კოლექტივისა და თბილისის „დინამოს“ ასპარეზობა — 11 ივნისს.

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გოგიავამ გაუთამაშებლად დათმო პარტიები გაფრინდაშვილთან და ჩაიკოვსკაიასთან. გაფრინდაშვილმა წააგო ლოლიშვილთან. ტოგონიძემ მოუგო ბუცხრიკიძეს, როოტარემ — ლოლიშვილს. ფანქელაშვილი-ივანოვა და ნაჭყებია-სტატნიკოვა ყაიმაზე შეთანხმდნენ. ტოგონიძე-ხაჩაპურიძის პარტია კვლავ გადაიდო.

მე-14 ტურში როოტარემ დაამარცხა ბელოზეროვა, ტომილინამ — გოგიავა, გაფრინდაშვილმა — ბუცხრიკიძე, ჩაიკოვსკაიამ — ივანოვა, კაკაბაძემ — ხაჩაპურიძე, გურფინკელმა — ნაჭყებია, ტოგონიძემ — ფანქელაშვილი. სტატნიკოვა-ლოლიშვილი ყაიმაზე შეთანხმდნენ.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშების დღეს 26 მაისს, გაფრინდაშვილმა მოუგო ბელოზეროვას, ხაჩაპურიძემ — ფანქელაშვილს. ტოგონიძე და ხაჩაპურიძე ყაიმაზე შეთანხმდნენ.

უკანასკნელი ტურის წინ გურფინკელს აქვს 13 ქულა, კაკაბაძეს — 11,5 ქულა, გაფრინდაშვილს 11 ქულა, ჩაიკოვსკაიას — 10 ქულა.

ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲐᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ

კიევი. 26 მაისი. (სპეც. კორ.). აქ გრძელდება საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა უძლიერესი კოლექტივების ასპარეზობა. ეს შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მეორე წრის პირველი ტურია.

წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მაგალითად, თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა პირველი ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო — დაამარცხა მოსკოვის „სტროიტელსა“ და „მეტალურგის“ გუნდები ანგარიშით 45:35, 49:34.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანშნა სსრ კავშირის მინისტრებად:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი;**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ამხანაგები მიხეილ ვასილის-ძე **ბრუნიჩევი,** ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვი** და ნიკოლოზ ივანეს-ძე **სტროკინი;**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებათა უფროსები ამხანაგები ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასიადკო,** ეფქთიმე სტეფანეს-ძე **ნოვოსელცევი** და გრიგოლ სერგის-ძე **ხლამოვი.**

ღ ე ქ ც ი ა

28 მაისს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული განათლების სახლში (ლენინის ქუჩა, 35), შედგება ლექცია თემაზე: ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ლექტორი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ბერიძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ახალი სპექტაკლი

4 წარმოდგენა

28, 29, 30, 31 მაისს

ალ. პუშკინი

„ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲝᲓᲣᲜᲝᲕᲘ“

ტრაგედია 3 მოქმედებად

მონაწილეობს მთელი დასი

დამდგმელი — **დ. ალექსიძე** (რესპუბლიკის სახალხო არტისტი),

მხატვარი — **დ. თავაძე** (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი), კომპოზიტორი — **ო. თაქთაქიშვილი** (სტალინური პრემიის ლაურეატი).

დაწვრილებით ცალკე აფიშებსა და პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების შეძენა შეიძლება თეატრის სალაროში და რწმუნებულთა მეშვეობით.

გრძელდება ხელისმოწერა ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონზე

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გამოდის 8 ტომად. ხელმოწერა მიიღება მე-3 ტომიდან.

იმ ხელისმომწერლებს, რომლებმაც ლექსიკონის I და II ტომებზე ხელი მოაწერეს „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, შეუძლიათ განაახლონ ხელისმოწერა მე-3 ტომიდან „საქწიგნის“ ხელისმოწერით გამოცემათა მაღაზიაში, რაიონებში კი „საქწიგნის“ რაიონულ მაღაზიებში.

ხელისმოწერითი გამოცემათა მაღაზიის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 44, ტელეფონი № 3-62-66.

მეუღლე ელპიტი ფასიეშვილი, შვილები ცირა, ვაჟა, ზაირა, ნუკრი, სიძე თ. ხითარიშვილი, დები მართა, ყამარ დოლიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

გიორგი მიხეილის-ძე მათურელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 5 ს. რუსთაველის პროსპ. № 37.

მეუღლე შოთა, შვილები მზია, ნოდარი, დები ნინა, ელიკო, ძმა შალვა, სიძეები გიორგი შავკაცაშვილი, ალექსანდრე ჩიღვინაძე, რძლები ნინა, ანიკო, ნინო ოჯახებით იუწყებიან

თამარ ზაქარიას ასულ მანგიაშვილი-მოსიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. დაკრძალვა 30-V, 6 ს. მაჩაბლის ქუჩა № 17.

მეუღლე ლეგან, შვილი ლეილა, სიძე თამაზ, ქეთო, თამარ ფერაძეები იუწყებიან

თამარ იოსების ასულ დოლიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 5 ს. ტრამვაის ქ. № 21.

დედა ევდოკი, მეუღლე ნაზი, შვილები იანა, მანანა, თემური, დები ნინო, ელენე, ლოლა, შურა, ძმა ვიქტორ ოჯახებით იუწყებიან

იასონ ნესტორის-ძე კაჭარავას

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 6 ს. დოლიძის ქ. № 9.

შვილი არტემ, რძალი დუშა შვილებით იუწყებიან

კიკილა ჯაათუს ასულ ლეფსაია-ჭირიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-V სოფ. ხამისკურში (ხობის რ.).

მეუღლე თეკლე, შვილები დიმიტრი, მარიამ, რძალი ს. პატარიძე, სიძეები პ. ჩქარეული, ქ. დეკანოზიშვილი ოჯახებით იუწყებიან

იასონ ალფეზის-ძე ბერაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 5 ს. ჩაღუბნის შესახ. № 3.

შვილი თამარ ჰყონია, დები ტასო, სეფორე, აგრაფინა, ძმა ვალიკო, რძალი თამარ ტუსკიები იუწყებიან

პელაგია დომენტის ასულ ტუსკიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 6 ს. ახოსპირელის ქ. № 3.

მეუღლე მარო, შვილი გივი, დები ოლღა, აგრაფინა იუწყებიან

ბაგრატ ალექსის-ძე ჭავჭანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 6 ს. ბარნოვის ქ. № 16.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობის დარგის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები იუწყებიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის მთავარი აგრონომის

სევერიანე არსენის-ძე მჟავანაძის

გარდაცვალებას.

მეუღლე მატრონა, შვილები ალექსანდრე, ლავრენტი, ლენა, გოგუცა, გალია, რძლები ეკატერინა, ქეთევან, სიძეები ი. დანელია, ე. რატიანი ოჯახებით იუწყებიან

ამბროსი სტეფანეს-ძე გაწერელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V სოფ. წერგოეთში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ანა, შვილები ზეინაბ, მერი, ოთარ, კორნელი, დები ტასო, ანიკო, ძმა მამია, რძალი ნინო, სიძე ე. ებრალიძე ოჯახებით იუწყებიან

ქრისტეფორე ალექსის-ძე ჭანთარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-V, 6 ს. ლანჩხუთში, გამოსვენება ბინიდან, რკინიგზის ქ. № 54.

დედა ელენე, მამა ვიქტორ, ძმა ვლადიმერ, რძალი გალინა; გურამ, გოდერძი, ნინო დათიაშვილები იუწყებიან

კუკური ვიქტორის-ძე დათიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-V ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, მესხიშვილის I ჩიხი № 4.

მეუღლე ოლია, შვილები ლამარა, მზია, დები ეფროსინე, თებრო, სონია, ძმა სერგო, სიძე ო. მანდარია ოჯახებით იუწყებიან

პლატონ მანუჩარის-ძე ოშხერელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 6 ს. ბარნოვის ქ. № 60-ა.

მეუღლე მარიამ, დები ნინო, ლიდა, სიძე მ. მუჯირი; ა. ყარამურზა ოჯახებით იუწყებიან

კონსტანტინე სიმონის-ძე ჯინჭარაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 6 ს. ბაზალეთის ქ. № 10.

დედა მარიამ, მეუღლე ნინო, შვილები პავლე, ლერი, და თეკლე, ძმა შუტე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ვასილ პავლეს-ძე ჩხატარაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V, 4 ს. ქ. ბახარაძეში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 43.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის, ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ფიზკულტურის — 3-80-84, ხაბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჯგუფის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 01932 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

პაპის ბრალდება ამერიკის რეაქციონერების მიმართ

ვატიკანი, 24 მაისი. (საკდესი). ვატიკანის რადიომ გადმოსცა პაპის ბრალდება ამერიკის რეაქციონერების მიმართ. პაპის სიტყვა ეძღვნებოდა ფატიმის ღვთისმშობლის ხატის ოქროთი შემკობის 25 წლისთავს.

პაპის სიტყვა ეხებოდა ამერიკის რეაქციონერების მიერ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. პაპის სიტყვით, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკაში ხორციელდება ისეთი ფორმით, რომელიც ეკლესიის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

პაპის სიტყვით, ამერიკის რეაქციონერები ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობიან ისეთ ფაქტებს, რომლებიც ეკლესიის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲖᲔ

პეკინი, 25 მაისი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით გამოაქვეყნა შინაარსი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისა რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ლენინგრადში.

„ტრიბუნა ლიუდუ“ სათაურში წერს: „მიმდინარე ხუთწლედში საბჭოთა კავშირი დაეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ხრუშჩოვი მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის“.

„გლას პრაცი“ აღნიშნავს, რომ უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირი აპირებს ხორცი, კარაქი და რძე აწარმოოს იმდენი, რამდენსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ.

ლენინგრადში სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსს გაღასცემდა აგრეთვე პოლონეთის ცენტრალური რადიო.

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). გაზეთი „რუდე პრავო“ ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვას ათავსებს დიდი სათაურით: „სსრ კავშირში მომწიფდა შესაძლებლობანი დაეწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ“. გაზეთი განსაკუთრებით გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობაზე და ეს განმტკიცებულია მთელი რიგი დამაჯერებელი ციფრებით.

გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი შეერთებულ შტატებს უახლოეს წლებში დაეწევა ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

მდგომარეობა ჭაივანზე

ლონდონი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან იუწყება, გუშინ საღამოს პოლიციამ სროლა აუტეხა 40 ათასამდე კაცს, რომლებიც ცდილობდნენ მიეტანათ პოლიციის უბანზე, სადაც ანტიამერიკული გამოსვლების დროს დაპატიმრებული სტუდენტები ჰყავთ. როგორც კ